

ჩემი დიდგორი

ამბავი საოცარი გამარჯვებისა

ეს ამბავი დაგეხმარება, გააცოცხლო შენს წარმოსახვაში,

რა მოხდა დიდგორის ველზე 900 წლის წინ!

დიდგორის ველზე გამართული ბრძოლა საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო. მემატეანეებმა (ასე მოიხსენიებენ იმ პიროვნებებს, ვინც ჩვენი ქვეყნის ისტორიას წერდა) ამ ბრძოლას „ძლევაი საკვირველი“ უწოდეს.

ამ ომს გაუოცებია არა მხოლოდ ქართველები, არამედ უცხოელებიც: საოცარ ამბებს აღწერენ ფრანგი, სპარსი, არაბი და სომეხი ისტორიკოსები.

მაინც რა მოხდა ასეთი დიდგორის ველზე?... რა საოცარი გმირობა გამოიჩინა დავით აღმაშენებელმა, თავის ლაშქართან ერთად?

მეფე დავითმა დიდგორის მთავარ ომამდე გამუდმებული მცირე ბრძოლებით ქვეყნიდან განდევნა მტერი, დაიწყო მათი შევიწროვება ყველგან - იქით შეუტია და თანდათან დაასუსტა.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მოწინააღმდეგე სხვადასხვა ქვეყანა გაერთიანდა, რათა როგორმე ერთიანი ძალებით მაინც დაემარცხებინათ საქართველოს ძლიერი მეფე. მოწინააღმდეგეთა ლაშქარი რამდენჯერმე აღემატებოდა საქართველოს სამეფოს ლაშქარს. ბრძოლა იყო უთანასწორო. დავითის მიერ გამოყვანილ ლაშქარში ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ: ყივჩაღები (15 000 ჯარისკაცი), ევროპელი ჯვაროსნები (100 ჯვაროსანი რაინდი), ალანები (500 ჯარისკაცი).

სულ დავითს 40 000 ჯარისკაცი ჰყოლია დიდგორის ბრძოლაში.

უმნიშვნელოვანესი ბრძოლა დიდგორთან გაიმართა 1121 წლის 12 აგვისტოს.

ფრანგი მემატთანე გოტიე ასე გადმოგვცემს:

„ეს მეფე დავითი წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი იყო... მან მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დააღაგა, დადგა ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში...“

მტრის უდიდესი ლაშქარი მანგლისის მიდამოებში შემოსულა. მათი მთელი ლაშქარი თბილისის შესასვლელთან უნდა შეკრებილიყო. დავითი დიდგორთან დაბანაკდა, მან საკუთარ მეომრებს დაუსახა ერთი მიზანი: ან გამარჯვება, ან - სიკვდილი. სელჩუკთა რაზმი, გაამაყებული სიმრავლის გამო, ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა ხმაურითა და ბაირაღებით გამოჩნდა ფრონტზე. ამავე დროს სხვადასხვა საბრძოლო საკრავზე უკრავდნენ და თითქოს მთა-ბარიც ბანს აძლევდა. დავითი კი მოთმინებით უყურებდა მათ გაამაყებას, მამაცი გულით ამხნევებდა მეომრებს.

გამარჯვების მოსაპოვებლად დავითმა საბრძოლო ხერხებს მიმართა:

პირველი, რაც მათ გაუკეთებიათ, გადაუხერგავთ უკან დასახევი ერთადერთი გზა - ნიჩბისის ხევი. რატომ? ეს ქართველ მხედრებს გაახსენებდა, რომ რაც უნდა მრავალრიცხოვანი ყოფილიყო მტრის ჯარი, როგორც უნდა გამწვანდებოდათ ბრძოლა და გულში შიში შეჰპარვოდათ, უკან ვერ დაიხევდნენ - უკანდასახევი გზა ჩახერგილი იყო!

მეორე სამხედრო სვლაც მეომრების გამხნევებას და მათი საბრძოლო განწყობის ამაღლებას ემსახურებოდა. მეფე დავით აღმაშენებელმა თავის ლაშქარს მიმართა. ფრანგი მემატთანე გოტიე ამ მიმართვას ასე გადმოგვცემს:

მეფე დავით დადგა და წარმოსთქვა ამგვარი სიტყვა:

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანნო... რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესასვლელი რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტოთ ...“

მტერზე შეტევის დაწყებამდე კი დავითმა გადამწყვეტ ხერხს მიმართა - მოულოდნელობის ეფექტი: ქართველ მხედართა შორის 200 მეომარი გამოარჩიეს, ისინი იარაღდაშვებულნი, თითქოსდა მტრის სიმრავლით შეშინებულები, მათ მხარეს გადავიდნენ, რაზმი თურქ-სელჩუკთა ჯარისაკენ წავიდა და მათ შეერია. მტერი მოტყუვდა... ქართველმა მხედრებმა კი სწორედ აქ გამოიჩინეს სიმამაცე: მათ მტრის ჯარს შუაგულიდან შეუტყეს, ხოლო მეფე დავითმა ამ დროს დაძრა ლაშქარი საბრძოლოდ. ამან შემოსეული მტრის ჯარი დააბნია, არეულობა შეიტანა და, საბოლოოდ, გამარჯვებაც მოუტანა ქართველებს.

არაბი ისტორიკოსი, იბნ ალ-ასირიც კი დეტალურად აღწერს ამ ხერხს:

„წინ გამოვიდა ყივჩაღთა 200 კაცი. სელჩუკებმა იფიქრეს, რომ ისინი აპირებდნენ დანებებოდნენ და ამიტომაც არ მიიღეს უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომები. ქართველთა ჯარისკაცები შეერივნენ მათ და საპასუხოდ ისრები მიიღეს მათგან.

მუსლიმანთა რიგები აირია და ამიტომ მათ, რომლებიც მოშორებით იდგნენ, ეგონათ რომ დავმარცხდით და გაქცევა დაიწყო და თავადაც გაიქცნენ.“

დავით მეფემ სწორედ ასეთი გონივრული ნაბიჯების შემდეგ შეუტია მტერს. დიდგორის ველზე მამის მხარდამხარ იბრძოდა მისი ვაჟი, უფლისწული დემეტრე. არაბი ისტორიკოსი და მოგზაური ალ-ფარიკი მოგვითხრობს მამა-შვილის შეთანხმებულ საბრძოლო მოქმედებაზე:

„მეფე დავითი გამოემართა დასავლეთის მხრიდან, ხოლო მისი ძე დემეტრე თავს დაატყდა მათ მთის მალღობებიდან, როდესაც მტრის ლაშქარი მთის ძირთან იმყოფებოდა. დაიხოცა აურაცხელი რაოდენობის მეომარი შემოსეული მტრისა.“

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი გაცემით აღწერს ქართველების გამარჯვებას. ისინი ადასტურებენ, რომ დიდი ზარალი განიცადა სელჩუკთა გაერთიანებულმა რაზმმა. მტრის ლაშქართან შედარებით, ქართველთა ჯარიდან მსხვერპლი კი მცირედენი იყო.

ომში არაბთა სარდალი ტყვედ ჩავარდა, სხვა გოლიათი მეზრძოლების ტყვედ ჩავარდნა სალაპარაკოც აღარ იყო.

გაქცეული და დამარცხებული მტერი საზღვრიდან დაახლოებით 70 კილომეტრის მანძილზე განდევნეს ქართველმა ჯარისკაცებმა, მათ არ მისცეს შეკრებისა და კვლავ შემოტევის საშუალება. ამან განაპირობა მტრის სრული მარცხი.

ამგვარად, საქართველოს სამეფომ დავითის მეთაურობით მტრის გაერთიანებულ ჯარებთან პირისპირ რთულ და უთანასწორო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. საქართველო უძლიერეს სახელმწიფოდ წარმოჩნდა იმ დროის მოწინავე ქვეყნების თვალში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი


დავით მეფემ შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 12 აგვისტოს დიდგორის ველზე დაბანაკდა. აღმაშენებელი უშიშარი და ბრძოლაში გამოცდილი მეფე იყო, ამიტომ გონივრულად განალაგა მრავალრიცხოვანი ჯარი. მას ბრძოლაში წმინდა გიორგი ეხმარებოდა. წმინდანის შეწევნითა და საკუთარი სიმამაცით შეძლო მტრის დამარცხება. მთა, ველი და ღელეები გაივსო არაბი მეომრების ცხედრებით. საქართველოს სამეფო კი აივსო ოქრო-ვერცხლით, არაბული ცხენებით, ასირიელთა ჯორებით, კარვებითა, სხვადასხვა საბრძოლო იარაღებითა თუ სამზარეულო ჭურჭლით. ნადავლის აღსაწერად ფურცელი და მელანი არ გვეყოფა.

ხოლო როცა ცხადი გახდა, რომ ომში არაბთა მეფე ტყვედ ჩავარდა, სხვა გოლიათი მეზობოლების ტყვედ ჩავარდნა სალაპარაკოც აღარ იყო.

ილუსტრაციები ხელნაწერებიდან კონკურსანტების შთაგომებისათვის

ხელნაწერი: „ქართლის ცხოვრება“. ხელნაწერი გადაწერილია 1633-1646 წლებში, ქართლის მეფის, როსტომის მეუღლის, დედოფალი მარიამის ბრძანებით. ამის გამო ხელნაწერს „მარიამისეული“ ეწოდა.

თქვენ წინაშეა მემატიანის მიერ აღწერილი დიდგორის ბრძოლა.



ხელნაწერი: დავითის ფსალმუნი. ხელნაწერი თარიღდება XVII საუკუნით.

ხელნაწერის ამ მინიატურაზე გამოსახულია ბიბლიური მეფე დავითის ბრძოლა. ეს საოცარი მახვილები და ქართველი მხედრების აბჯრის ხმაური, ეგებ, თქვენი შთაგონების წყარო გახდეს!

